

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს
კანონის პროექტზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის მომზადება, რაც, თავის მხრივ, იწვევს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანისა და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ბაზაზე იქმნება ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსურის მონიტორინგის სამსახური, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონიდან იმ ნორმების ამოღებას სადაც მოხსენიებულია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან; არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი; საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი. საქართველოს პრეზიდენტი.